მოცემულია დმანისის მადამოების (აღმოსავლეთ საქართველო) აღრეული პლეისტოცენის ადამიანის ქვედა ყბის შედარებით დაწვრილებითი აღწერა. გამოთქმულია მისაზრება, რომ მისი თავისებურებები წარმოადგენს არქაული *Homo erectus*-ისა და ამ სახეობაზე უფრო ადრინდელი ჰომინიდების, აგრეთვე *H. sapiens*-ის ზოგიერთი ადრინდელი ფორმის თვისებების თავისებურ შერწყმას.

დმანისელი უთუოდ მიეკუთვნება ნამარხი ჰომინიდების იმ ჯგუფს, რომელმაც პირველად შემოაღწია აფრიკიდან ევრაზიაში

1991 წ. 24 სექტემბერს დმანისის ექსპედიციის ქვის ხანის არქეოლოგიის რაზმის წევრმა ანთია იუსტუსმა გვიან ვილანდრანკული ასაკის ძვლიან შრეში მიაკვლია ადამიანის ქვედა ყბას. ამ იშვიათმა მონაპოვარმა მყისვე მიიპყრო არა მარტო სპეციალისტების (ჯაფარიძე და სხვ., 1991), არამედ ფართო საზოგადოებრივობის ყურადღება, რადგან ნათელი იყო, რომ საქმე გვქონდა ევრაზიის ერთ-ერთ უძველეს ადამიანთან. მოგვყავს ამ იშვიათი მონაპოვრის მეტ-ნაკლებად სრული აღწერა.

დმანისის ნამარხი ქვედა ყბა (ნაბ. 1, 2) ეკუთვნის ახალგაზრდა, დაახლოებით 22—24 წლის ინდივიდს, რომლის M_3 -ს მხოლოდ ოდნავ ეტყობა სუსტი მოცვეთილობა. სამწუხაროდ, ამ ყბას ორივე აღმავალი ტოტი (*ramus mandibulae*) მოტეხილი აქვს, დაზიანებული აქვს აგრეთვე სხეულის ფუძის (*basis mandibulae*) უკანა ნაწილი (დაახლოებით P_4 -ს უკან). აღმავალი ტოტები მოტეხილია თითქმის ერთ დონეზე: ქვედა ყბის სხეულის ლატერალური ამოზურტულობის უკან. ყველა კბილი თავის ადგილზეა და ქვედა ყბის შემორჩენილ ნაწილს დეფორმაციის არავითარი კვალი არ ემჩნევა.

ქვედა ყბის მხოლოდ რამდენიმე სიგრძივი განზომილებაა ჩვენთვის მისაწვდომი: ალვეოლარული რკალის სიგრძე (63,5 მმ), პარალატეტალური რკალის სიგრძე (27,4 მმ), მანძილი ქვედა ყბის ყველაზე წინა წერტილიდან სიმფიზური ნაწილის უკანა კიდემდე (17,0 მმ) და, აგრეთვე, კიდევ რამდენიმე ნაკლებად დამახასიათებელი განზომილება.


თუ ვიმსჯელებთ ალვეოლარული რკალის სიგრძის მიხედვით, დმანისის ქვედა ყბა ზომიერად გრძელი ქვედა ყბების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს (A. de Lumley და სხვ., 1982), თუმცა მისი სიგრძე მაინც აღემატება ნეანდერტალელამდელი ადამიანების უმრავლესობის ქვედა ყბის სიგრძეს (ამ მხრივ თითქმის მხოლოდ „არაგო 13“ ქვედა ყბას ჩამორჩება). მაგრამ M_3 -ის დონეზე ქვედა ყბის კბილების რკალის სრული სიგანით (61,4 მმ) ნამარხი დმანისელი აშკარად ჩამორჩება ჩვენთვის ცნობილ ყველა ნეანდერტალელამდელ ადამიანს (აზიის *Homo erectus*-ის ჩათვლით), რაც მისი ყბის მკაფიოდ გამოხატულ სივიწროვეზე მეტყველებს. M_3 -ის დონეზე სხეულის სიგანე (86 მმ) აგრეთვე მოუთითებს დმანისის ქვედა ყბის სივიწროვეს.

რადგან სხვა ნეანდერტალელები ადამიანების ქვედა ყბებზე ეს განზომილება 90 მმ-ს სწარბობს.

ალვეოლარული რკალის სივიწროვის დასახსიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ ამ რკალის სრული სიგრძის შეფარდება მის სიგანესთან. ამ შეფარდების გამომხატველი ინდექსი დმანისელისათვის არის 103, ხოლო ევრაზიის სხვა ნეანდერტალელები



ნახ. 1. Homo sp. (დმანისი). ქვედა ყბა ზემოდან




ნახ. 2. Homo sp. (დმანისი). ქვედა ყბა გარედან

დელი ადამიანებისათვის იგი 85 და 91 შორის მერყეობს. ერთ-ერთ ჩვენთაგანს (ლ. გაბუნია) საშუალება მიეცა გასცნობოდა ფრანკფურტში ტურკანას (ცენტრალური აფრიკა) უძველესი პითეკანთროპის ტიპის ადამიანის ქვედა ყბას (ქვედა ყბა „1500“), რომელსაც თითქმის ისეთივე ვიწრო ყბა აქვს, როგორც დმანისის ეკზემპლარს და რომლის იზოტოპური ასაკი მილიონ ნახევარ წელს აღემატება. თუმცა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურკანას ქვედა ყბა მკვეთრად განსხვავდება დმანისის ეგზემპლარისაგან როგორც ბევრად ნაკლები მასიურობით, ისე ნიკაპის აგებულებით.

კბილების რკალის კონტური დაახლოებითაა P-ის ფორმისაა. მისი უკანა ბოლოები შესამჩნევადაა გადახრილი მედიალური სიბრტყისაკენ (ნახ. 1, 3).

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეჩვენა ქვედა




ნახ. 3. Homo sp. (დმანისი). ქვედა ყბა ზემოდან (სქემატური გამოსახულება)

ყბის სივიწროვის ხარისხისა და კბილების რკალედის ფორმის ზუსტად გამოსახვის საშუალება რკალედის სიგანეთა ამსახველი მონაცემებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. დახმარებისათვის მივმართეთ ბ-ნ გ. მელიქიძეს, რომელმაც გვიჩაჩივდა შესაბამისი მრუდების ასაგებად ექსპონენციალური ფუნქციის მოშვებები. მანვე განგვისაზღვრა ზოგიერთი ნმარხი ადამიანის ქვედა ყბის ალვეოლარული რკალის სიმართლის პარამეტრი (იგულისხმება $Y \cdot e^{ax}$ ფუნქციის „a“ მაჩვენებლის მნიშვნელობა), რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ სიმართლის ინდექსი (ნახ.

4, a-e). ეს ინდექსი დმანისის ქვედა ყბისათვის 11,6-ია, ხოლო სხვა ნამარხი ადამიანების ქვედა ყბისათვის გაცილებით დაბალი: ჩინეთის პითეკანთროპებისათვის 7,4 და 8,2; ტოტაველის (არაგო) ადამიანისათვის 7,50 და 7,55, ჰიდელბერგის ადამიანისათვის 8,7. ყველა ამ მრუდის ასაგებად ჩვენ ვისარგებლეთ ჰ. როტის (Roth, 1982) მონაცემებით. თუ დავყვარდნობით ტურკანას № 1500 ყბის მულაქზე და ოლდუვეის „ჰომინიდ 13“-ს ფოტოზე (Tobias, Koenigswald, 1964) წარმოებულ განზომილებებს, ორივე ეს ნამარხი ქვედა ყბა ალვეოლარული რკალის სიმრუდის ინდექსით უახლოვდება დმანისისას: პირველის ინდექსია 10, მეორეის — დაახლოებით 11.

პარალელური უნდა ყოფილიყო მრუდის ყბის სხეულის გასწვრივ.

დმანისის ქვედა ყბა სხეულის (corpus mandibulae) შედარებით დიდი სისქით ხასიათდება: ლატარელურ გამობურცულობათა დონეზე ეს სისქე 21,5 მმ უდრის, ნიკაპის ხვრელის დონეზე — 18,3 მმ; ამ განზომილებათა მიხედვით ის მაინც და მაინც არ განსხვავდება სხვა ნეანდერტალელამდელი ადამიანებისაგან, მაგრამ დიდად გამოირჩევა თავისი მასიურობით. მისი სისქისა და სიმაღლის შეფარდება სიმფიზის დონეზე უდრის 56,6-ს, ხოლო ნიკაპის ხვრელის დონეზე — 72-ს. ამ მხრივ დმანისელი უახლოვდება „არაგო 13“-ს, რომლის ქვედა ყბა ევრაზიის ნეანდერტალელამდელი ადამიანებს შორის ყველაზე



ნახ. 4. დმანისელისა და ზოგიერთი სხვა ნამარხი ადამიანის კბილების რკალის მრუდებს შედარება: a — დმანისის ნამარხი ადამიანი, სიმრუდის მაჩვენებელი $a=11,6$; b—Homo erectus 15000 (ტურკანა), $a=10$; c—ჰაუერის ნამარხი ადამიანი, $a=8,7$; d — Homo erectus (ჯოუკოუტანი, 678), $a=8,2$; e — ტოტაველის ნამარხი ადამიანი (არაგო 2), $a=7,5$

დმანისის ქვედა ყბის სიმაღლის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მისი წინა ნაწილის განზომილებებით: ყბის სხეულის სიმაღლე P₃-ის დონეზე უდრის 27 მმ, სიმფიზის სიმაღლე — 30,3 მმ. ამ მონაცემების მიხედვით, დმანისის ქვედა ყბა ზომიერად მაღალ ქვედა ყბათა ჯგუფს მიეკუთვნება (A. de Lumley და სხვ., 1982). თუ ყბის სხეულის წინა ნაწილის ქვედა და ზედა კიდეების ურთიერთ მდებარეობას დავუკვირდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კიდეები დაახლოებით

დიდი მასიურობით გამოირჩევა (A. de Lumley და სხვ., 1982).

სიმფიზის ნაწილის წინა ზედაპირი (ნახ. 5) შედარებით ვიწროა, რაც შესაბამება ზოგადად ყბის სივიწროვეს. აქ ყურადღებას იპყრობს შუა საჭრელებისა და ლოჯების შესატყვისი ამობურცულობები (yuga alveolaria), რომელთა შორის, ლატერალური საჭრელების ფესვების დონეზე, შეიმჩნევა მკაფიოდ გამოხატული ჩაღრმავებები. აღსანიშნავია, აგრეთვე, სუსტი ჩაზნექილობა მედიალური საჭრელების შესაბამის შემადლებათა შორის.

ყველა ეს ამობურცულობა ერთმანეთს ერწყმის სიმფიზის წინა ზედაპირის ცენტრალურ ნაწილში, სადაც ქმნის ერთიან შემადღებას, რომელიც შეიძლება აღიქვას როგორც *tuber symphyseos*. მაგრამ ძნელი დასაშვებია, რომ ეს წარმონაქმნი *trigonum mentale*-ს ჩანასახს წარმოადგენდეს: აღნიშნული ამობურცულობა მომარგვალეული ფორმისა და სიმფიზის წინა ზედაპირის ცენტრშია მოთავსებული; ის სწრაფად ჰქრება უკან ვადაზნეჭილი ქვედა კიდისაკენ, რის გამოც ნიკაპის სამკუთხედის ფუძის ნასახიც კი არ ჩანს.


ლატერალური ბორცვები სულ არ არის გამოსახული, მაგრამ მკაფიოდ ჩანს *tuberculum marginale anterior*-ის ძლიერ გამოხატული წინა კიდევები. სიმფიზური ნაწილის ქვედა კედე საკმაოდ

რითაც ნიკაპისა და სიმფიზის დახრილობას გამოხატავენ (ნ ა ხ. 6), დმანისის ქვედა და ყბაზე უდრის შესაბამისად 91° და $63,5^{\circ}$. ამ მხრივ დმანისელი დიდად არ განსხვავდება სხვა ნეანდერტალელადელი ადამიანებისაგან, სახელდობრ ტოტაველის ნამარხი ადამიანისაგანაც (A. de Lumley და სხვ., 1982).

სიმფიზის უკანა მხარე (ნ ა ხ. 7) ხასიათდება საკმაოდ ძლიერი შიდა შვერილის არსებობით, რაც შეპირობებულია ალვეოლარული მოედნის (*planum alveolare*) შესაბამისი განვითარებით. აღსანიშნავია, რომ ამ ალვეოლარული ზედაპირს თითქმის ისეთივე დაქანება აქვს, როგორც საჭრელებს, რომელთა ლინგვალური მხარეები ჰქმნიან მასთან ერთიან სიბრტყეს.



ნახ. 5. Homo sp. (დმანისი). ქვედა ყბა წინიდან



ნახ. 6. დმანისის ქვედა ყბის ნიკაპისა და სიმფიზის კუთხეები

ფართოა (მისი სიგანე შუა ზაზის დონეზე 10 მმ-ია) და შესამჩნევად გაბრტყელებული. *M. digastricus*-ის მიმაგრების ადგილის ანაბეჭდები სუსტადაა გამოსახული, მაგრამ გარკვევით ჩანს, რომ ეს ანაბეჭდები მთლიანად სიმფიზის ქვედა კიდევზეა მოთავსებული, მეტ-ნაკლებად ოვალური ფორმისა და ერთმანეთს ნაკლებად დაშორებული. სიმფიზის ქვედა კიდევზე ჩანს ნიკაპისქვეშა ნაჭდევი (*incisura submentalis*). იგი ორადაა გაყოფილი სუსტი შუა შვერილით, რომელიც შეესაბამება ნიკაპის წვეტს (*spina mentalis*). ნიკაპისა და სიმფიზის კუთხეები (1 და 2),

ალვეოლარული სიბრტყის დახრილობა, რაც გამოიხატება კუთხით, რომელსაც ეს სიბრტყე ალვეოლარულ ზედაპირთან ჰქმნის (ნ ა ხ. 6), დაახლოებით 43° -ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით დმანისელი მიეკუთვნება ნამარხი ჰომინიდების იმ ჯგუფს, რომლის წარმომადგენლები გამოირჩევიან ალვეოლარული სიბრტყის შედარებით დიდი გამოხატულებით. ალვეოლარული სიბრტყის სიდიდით დმანისელი სპარბობს ევრაზიის ნამარხი ჰომინიდების უმრავლესობას: დმანისის ქვედა ყბაზე ამ სიბრტყის წინა-უკანა სიგრძის (16,7 მმ) შეფარდება სიმფიზის სიბრტყისქვედა სიმაღლესთან (15,0 მმ) შესამჩნევად მეტია,



ვიდრე „არავი 12“-სა და მუფერის (პაი-
დელბერგელი ადამიანი) ყბებზე, რომლებ-
ბიც ალვეოლარული სიბრტყის სიდიდით
განსაკუთრებით გამოირჩევიან ნეანდერ-
ტალელამდელი ადამიანებს შორის.

ალვეოლარული მოედნის ზედაპირზე
შეინიშნება შუა საჭრელებს ქვეშ მოთავე-
სებული ორი პატარა ფოსო. საშუალო
სიღრმის fossa mylogloss-ს ფსკერზე
შემორჩენილია foramen geni superior-
ამ ფოსოს ქვედა ნაწილი შემოფარგლუ-
ლია ორი პატარა წიბოთი, რომლებაც ქვე-
მოთ ერთდება და ჰქმნის შედარებით
მსხვილ შვერილს — ნიკაპის წვეტს (spina
mentalis).

Torus transversus inferior ნაკლე-
ბადაა განვითარებული, ხოლო ფოსო,
რომელიც ზოგიერთი ნეანდერტალელამ-
დელი ადამიანის ქვედა ყბაზე ამ გამო-
ბურცულობის ქვეშ არის მოქცეული, აქ
ძლივს შეიმჩნევა.

ცნობილია, რომ ნეანდერტალელამ-
დელ ადამიანთა უმრავლესობას ახასია-
თებს სიმფიზური ნაწილის ალვეოლარუ-
ლი შემადგენლის ძლიერი განვითარება.
ამ მხრივაც დმანისელი უახლოვდება იმ
ნეანდერტალელამდელ ადამიანებს, რომ-
ლებიც სიმფიზის ალვეოლარული ნაწილის
განსაკუთრებით ძლიერი განვითარებით
გამოირჩევიან.

დმანისის ქვედა ყბის სხეულის გარეთა
მხარე (ნახ. 2) მკაფიოდ გამოხატული
რელიეფურობით ხასიათდება. კარგად
ჩანს ლატერალური გამობურცულობა
(ალმავალი შტოების მოტეხილობის გამო
ამ გამობურცულობის უკანა კიდე არ არის
შემორჩენილი) და ზედა ლატერალური
შემადგენლობა. ეს უკანასკნელი მეტ-ნაკლე-
ბად ჰორიზონტულია და მისი წინა ბოლო
თითქმის ებმის ნიკაპის ხერხელის ქვედა
კიდე. ქვედა მარგინალური ამობურცუ-
ლობა ძალიან სუსტადაა გამოხატული (ნა-
წილობრივ სხეულის შესაბამისი ნაწილის
დაზიანების გამო), მაგრამ შეიძლება ვი-
ფიქროთ, რომ ის რამდენადმე ერწყმოდა
სხეულის ქვედა კიდე. როგორც ითქვა
უკვე, წინა მარგინალური ბორცვები ძლი-
ერაა განვითარებული. Sulcus intertora-
lis შედარებით სუსტადაა გამოხატული.

ნიკაპის ხერხელი (foramen mentale)
საკმაოდ დიდი ზომისაა; მოთავსებულია
სხეულის შუა ხაზზე ოდნავ დაბლა. ყბის
მარცხენა მხარეზე ეს ხერხელი გაორბუ-
ლია.

ყბის შიდა ლატერალური მხარე ხასი-
ათდება ძლიერი გამობურცულობით, რო-
მელიც განსაკუთრებით მკაფიოადაა გამო-
ხატული უკანა ზედა ნაწილში. ქვედა ყბა-
ინის ხაზი (linea mylohyoidea) სუსტად
არის გამოხატული. მაინც ჩანს, რომ ის
პრემოლარებისაკენ მიემართება, სადაც
P₃-ს დონეზე უკვე სულ ჰქრება. ამ ხაზის
კვალი დამრეცია, წინა კილისაკენ დახრი-
ლი. ქვედა ყბა-ინის ხაზის ქვეშ მოქცე-
ული სივრცე იზრუნეილობა საკმარს
დრმა, მაგრამ სუსტად შემოფარგლული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიუხე-
დავად აღმავალი ტოტების მოტეხილობი-
სა, მაინც კარგად ჩანს (ნახ. 2,7) ამ ტო-
ტების წინა კიდეების დაბოლოებათა გა-
რეთ გადახრა. ეს თავისებურება შეინიშ-
ნება ავსტრალოპითეკუსების H. habi-
lis-ის და, შესაძლოა, ზოგიერთი იაველი
პითეკანთროპის ქვედა ყბაზე (L.S.B.
Leakey, M. D. Leakey, 1964). რეტრო-
მოლარული სამკუთხედი მოკლეა და არა-
ღრმა, რაც უთუოდ უკავშირდება აღმა-
ვალ ტოტთა წინა კიდეების აღნიშნულ
მკვეთრ გადახრას.

კბილების მწკრივი უწყვეტია — უდი-
ასტემო (ნახ. 1—3). საჭრელები საშუ-
ალო ზომისაა (ცხრილი 1) და საგრძობ-
ლად გადახრილი წინ; მათი ლინგვალური
ზედაპირი ოდნავ შემადლებულია. ლატე-
რალური საჭრელები ცოტა უფრო დიდია
მედიალურზე, რაც შეინიშნება როგორც
გვირგვინის, ისე ფესვების ნაწილში. საკუ-
ლისხმოა, რომ საერთოდ წინ დახრილი
საჭრელების სულ ზედა ბოლოები რამდენ-
ნადმე უკანა გადმოღუნული და მეტ-ნაკ-
ლებად ვერტიკალურ პოზიციას იძენს.
ლოჯი არ სცილდება სხვა კბილების დო-
ნეს, ამკარავა წაწვეტებულია და რამდენ-
ნადმე დაგრძელებული. მას კარგად აქვს
გამოხატული გარეთა საყელო. აგრეთვე
ცოტაოდენ დაგრძელებულია P₃-ც, რომ-
ლის გვირგვინი რამდენადმე ვიწროვდება
წინა კილისაკენ, ხოლო გარეთა კედელი



მკვეთრი მედიალური დახრილობით ხასიათდება. ამის გამოა, რომ მის ლაბიალურ ბორცვს, პროტოკონიდს, თითქმის ცენტრალური პოზიცია უკავია. მეტაკონიდა უფრო ფუძის ამობურცულობის შესქელებას ჰგავს, ვიდრე განმხოლოებულ ბორცვს. გარეთა საყელოს კვალი მკაფიოდ ემჩნევა ამ კბილსაც. მის პროტოკონიდს წინიდან საზღვრავს მოკლე მეზიო-ლინგვალური ღარი (fovea), ხოლო უკნიდან — კარგად განვითარებული დისტალური ღარი; ტალონიდი შედარებით გრძელია (1,9 მმ). P₄ მკვეთრად განსხვავდება მესამე პრემოლარისაგან როგორც საერთო პროპორცი-

ლიც გვაგონებს ჰადარის ჰომინიდებზე (Johanson et al., 1976) და ოლდვანისა და იავის ზოგიერთი ფორმის (Tobias et al., 1964) ქვედა პრემოლარებზე არსებულ განლაგებას.

არქაულობის აშკარა ნიშნები ჩანს მოლარებზეც, რომლებიც ხასიათდება შედარებით დიდი ზომებითა და ძლიერი დანაოჭებით, აგრეთვე სამივე კბილზე დრიოპიტეკის გამოსახულებისა და მეექვსე ბორცვის (tuberculum sextum) არსებობით. ამავე დროს მოლარები ისეთი საბიეტური ნიშნებით გამოირჩევა, როგორცაა მათი სიდიდის შემცირება პირველი-

ცხრილი 1

		კბილების ზომები (მმ)		VL MD x 100
		M—D	MD x VL	
I ₁	M—D	5.6	33	94.9
	V—L	5.9		
I ₂	M—D	6.6	42.2	97.6
	V—L	6.4		
C	M—D	8.7	71.3	94.5
	V—L	8.2		
P ₃	M—D	9	88.2	108.9
	V—L	9.8		
P ₄	M—D	8.1	74.5	110.5
	V—L	9.2		
M ₁	M—D	13.2	162.8	94.6
	V—L	12.3		
M ₂	M—D	12.3	141.4	94.6
	V—L	11.5		
M ₃	M—D	11.2	118.7	96.8
	V—L	10.6		

M — D — მედიალურ-დისტალური; V — L — ვესტიბულარულ-ლინგვალური

ებით, ისე ბევრად უფრო განვითარებული მეტაკონიდათ. იგი შედარებით მოკლეა და მომრგვალებულ-ოთხკუთხა ფორმის. ორივე fovea, წინაც და უკანაც, კარგადაა განვითარებული, თუმცა ამ უკანასკნელს უფრო დისტო-ლინგვალური პოზიცია უკავია, როგორც იავის H. erectus-ის ქვედა ყბაზე (Tobias et al., 1964). ტალონიდი უფრო გრძელია (2,5 მმ), ვიდრე მესამე პრემოლარზე. გარეთა საყელო ამ კბილზეც ჩანს, მხოლოდ უფრო მკრთალად.

პრემოლარების ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოსახული განსხვავება, განსაკუთრებით კი P₃-ს გარეთა კედლის საკმაოდ ძლიერი მედიალური გადახრა აშკარად პრიმიტიული თავისებურებაა, რომე-

დან მესამისაყენ (ცხრილი 1) და შედარებით სუსტად გამოხატული ტავროდონტიზმი.

ეცადოთ დმანისის ადამიანის ქვედა ყბის მორფოლოგიური და მეტრიკული ნიშან-თვისებების მოკლედ შეჯამება.

1. დმანისის ადამიანის ქვედა ყბა შედარებით გრძელია და ძალიან ვიწრო. მისი ალვეოლარული რკალის სივიწროვის ინდექსი, რასაც გამოხატავს ამ რკალის სრული სიგრძისა და M₃-ს დონეზე მისი სიგანის შეფარდება, უდრის 103-ს (სხვა ნეანდერტალელებზე ადამიანებში ეს ინდექსი მერყეობს 85 და 91 ფარგლებში). კბილების რკალის კონტური დაახლოებით P-ს ფორმისაა, ხოლო ამ რკალის უკანა ბოლოები ოდნავ გაღუნულია მედიალური სიბრტყისაკენ.



2. პორიზონტული ტოტი გამოირჩევა მასიურობით. მისი გარეთა ზედაპირის ამობურცულობები და ბორცვები მკვეთრად არის გამოხატული. შიდა ზედაპირზე ყურადღებას იპყრობს ქვედა ნაწილის ძლიერი ჩაზნექილობა და ქვედა-უქანა კედლის გარეთ გადახრა.

3. სიმფიზის გარეთა ზედაპირი ხასიათდება ზომიერად გამოხატული ნიკაპის ცენტრალური ამობურცულობით, რომელიც სწრაფად ჰქრება სიმფიზის ქვედა ნაწილში, სადაც მას ენაცვლება უკან გადახრილი სიმფიზის ქვედა კიდე. ჩვენი აზრით, ეს ცენტრალური ამობურცულობა შეიძლება აღვიქვათ როგორც ძველი ჰომინიდებისაგან მემკვიდრეობით მიღებული პლეზიომორფია, ანდა როგორც პარალელიზმის წესით ნაადრევად განვითარებული ნიშან-თვისება.

4. სიმფიზის შიდა ზედაპირზე ყურადღებას იქცევს საკმაოდ განვითარებული და ამობურცული *planum alveolare*. მისი წინა-უქანა სიგრძის (16,7 მმ) შეფარდება სიმფიზის ალვეოლარული მოედნისქვედა სიმაღლესთან (15 მმ) აშკარად აღემატება სხვა ნეანდერტალელამდელი ადამიანების შესაბამის მონაცემებს, კერძოდ არაგო 13-სა და მათურისას (A. de Lumley et al., 1982), რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან *planum alveolare*-ს ძლიერი განვითარებით. საჭრელებსა და *pl. alveolare*-ს ერთნაირი დახრილობა აქვთ და არსებითად ერთიან ზედაპირს ჰქმნიან. ალვეოლარული სიბრტყის ქვეშ მოქცეულია ზედა *torus transversus* და ზომიერად ღრმა ნიკაპის ფოსო.

5. დმანისის ადამიანის ქვედა ყბას ქვედა კიდე საკმაოდ ფართოა და რამდენადმე შებრტყელებული. დიგასტრიკული ანაბეჭდები მთლიანად ამ კიდეზეა მოქცეული, როგორც ეს ნეანდერტალელამდელ ადამიანთა უმრავლესობას ახასიათებს.

6. ნიკაპის ზეგელი ქვედა ყბის სხეულის ქვედა კიდეც უფრო უახლოვდება, ვიდრე ზედას, მარცხენა მხარეზე იგი გაორებულია.

7. ქვედა ყბა-ინის ხაზი ოღნავ ემჩნევა სხეულის შიდა მხარეს. იგი სუსტადაა დახრილი წინისაკენ.

8. საჭრელები საშუალო ზომისაა და წინისაკენ გადახრილი, რაც, *pl. alveolare*-ს სიბრტყის ფართობს. ღოჯი რამდენადმე წაწვეტებული ჩანს და დაგრძელებული.

9. აღმავალი ტოტის წინა კედის ქვედა დაბოლოება მკვეთრადაა გადახრილი გარეთ, რაც შეიძლება აღიქვას როგორც პრიმიტიული ნიშანი, შემორჩენილი ყველაზე ადრინდელი *H. erectus*-სა და სხვა, კიდევ უფრო ძველი ჰომინიდების ქვედა ყბებზე.

10. გამოირჩევა მისი ლაბიალური კედლის ძლიერი მედიალური დახრილობით. P_4 მკვეთრად განსხვავდება P_3 -გან ფორმითა და ბევრად უფრო განვითარებული მეტაკონიდიით. ორივე პრემოლარს, ისევე როგორც ღოჯს, შემორჩენილი აქვს საყელო.

11. სამივე მოლარი, რომელთაგან პირველს საყელს კვალიც ემჩნევა, გამოირჩევა მინაქრის ძლიერი დანაოჭებით და დრიობითეკის გამოსახულებისა და მეექვსე ბორცვის არსებობით. ამასთანავე ამ



Fig. 7. *Homo* sp. (დმანისი). ქვედა ყბა უქონიან

ქბილების სიდიდე მცირდება პირველი მოლარიდან მესამისაკენ, რაც, როგორც ცნობილია, თანამედროვე ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა მოლარების ზომის ამგვარი განაწილება გვხვდება ზოგჯერ ნამარხ ადამიანებსა და ანთროპომორფებშიც (Patte, 1960).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით (Van dermeersch, 1982), ადამიანის ქვედა ყბა



ძნელი გამოსაყენებელია ტაქსონომიის საკითხების გამოსარკვევად. ეს მით უფრო ითქმის, ალბათ, არასრულ და დაზიანებულ ყბაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დმანისის ადამიანის ქვედა ყბის ისეთი თავისებურებები, როგორცაა ალვეოლარული რკალის ძლიერი სივიწროვე, საკმაოდ გამოთუტყული ფართო *planum alveolare*, ნიკაპის სამკუთხედის ფუძის არსებობა, დიგასტრული ანაბეჭდების განლაგება სიმფიოზის რამდენადმე გაბრტყელებულ ქვედა კიდეზე, ქვედა ყბის ალვეოლარული ნაწილის მასიურობა (განსაკუთრებით მოლარების ნაწილში), რეტრომოლარული სამკუთხედის შესაბამისი ნაწილის ძლიერი ლატერალური გადახრა, მესამე პრემოლარის პროტოკონიდის გვირგვინის ცენტრისაკენ გადანაცვლება, ღოჯზე და პრემოლარებზე საყელოს განვითარება, მოლარების მინაჩქრის ძლიერი დანაოჭება და სამივე მოლარზე დრიობითეკუსის გამოსახულებისა და მეექვსე ბორცვის არსებობა და სხვ. უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ყბა გამოირჩევა ნამარხ ადამიანთა სხვადასხვა წარმომადგენლის ნიშანთვისებების თავისებური მოზაიკით. რიგი ამ ნიშანთაგანი (უთუოდ პლეზიომორფული), როგორც ვნახეთ არქაული *H. erectus*-ისათვის და, შესაძლოა, უფრო ადრინდელი ჰომინიდებისათვისაც კი არის დამახასიათებელი, ხოლო ზოგიერთი სხვა ნიშანი (უმთავრესად, ალბათ, ასევე პლეზიომორფული) — ადრინდელი *H. sapiens*-ისა და უფრო გვიანდელი ადამიანებისთვისაც კი.

ძნელია დღეს, უფრო დეტალური შედარებითი კვლევის გარეშე, დმანისის ნამარხი ადამიანის სისტემატიკური ადგილის ზუსტად დადგენა, მით უფრო თუ გავიზიარებთ ზოგიერთი მკვლევარის (Jelinek, 1982; Tillier, Vandermeersch, 1982; Wolpoff, 1984; Wolpoff et al., 1991) მეტად განზოგადებულ კლასიფიკაციას. იქნება შთაბეჭდილება, რომ დმანისელი სცილდება როგორც *H. erectus*-ის (Weidenreich, 1936; Sartono, 1976, 1982; Howell, 1986; Rightmire, 1981, 1982, 1991), ისე ევროპელი ნეანდრტალელადელი ადამიანების (Lumley et al., 1982; Bonis, 1986) ნიშან-თვისებათა მერყეობის ფარგლებს.

მისი თავისებურებების ერთობლიობა, აქ უფძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს წარმოადგენს უძველესი *H. erectus*-ის პარალელურ შტოს, რომელსაც, ისევე როგორც ამ უკანასკნელს, დასაბამი მისცა, ალბათ, *H. habilis* ჯგუფმა. ერთი კი უდავოა: დმანისელი ადამიანი ერთ-ერთი პირველი აფრიკული იმიგრანტთაგანია ევრაზიაში. ამ ნამარხის არქაული იერი სავსებით შეესატყვისება მის სიძველეს: უახლესი მონაცემების მიხედვით, მისი იზოტოპური ასაკი დაახლოებით 1,6 მილიონი წელია, რასაც არ ეწინააღმდეგება არც ხერხემლიანთა პალეონტოლოგიისა და არც პალეომავნეტიზმის მონაცემები.

აქ, ალბათ, არ იქნება ზედმეტი რამდენადმე შეეჩერდეთ ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის მონაცემებზე, რადგან გადაწყვეტი მნიშვნელობა დმანისის ქვედა ყბის ასაკის დადგენის საქმეში სწორედ ძუძუმწოვრების ფაუნას ენიჭება. როგორც ამ ფაუნის წინასწარმა გამოკვლევამ გვიჩვენა (Веква и соавторы, 1985; Габуння и соавторы, 1988; Габуння и Веква, 1989; Gabunia, Vekua, 1992), მის შემადგენლობაში შედის ისეთი გეოლოგიურად ძველი სახეობები, როგორიცაა *Archidiskodon meridionalis*, *Megantereon mangantereon*, *Canis etruscus*, *Equus stonionis*, *Dicerorhinus etruscus* (ადრინდელი ფორმა) და სხვ., რომელთა გვიანვილადფრანკული ასაკი ეჭვს არ იწვევს. მეტიც შეიძლება ითქვას: ეს კომპლექსი თავისი არქაული იერით უფრო ზედა ვილფრანკის ქვედა ნაწილს მიეკუთვნება, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გვიანი ვილფრანკი მთლიანად მოიცავს დროს 1,8 მლნ წლიდან 1 მლნ წლამდე, ბუნებრივი იქნება დმანისის ფაუნა და, მასთან ერთად, ნამარხი ადამიანის ყბაც შეეუბირისპიროთ დროის ამ მონაკვეთის უფრო ქვედა ზღვარს, ვიდრე ზედას. ასეთი დაახლოვების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ძვლიანი შრე ისევე დადებითადაა დამაგნიტებული, როგორც მის ქვეშ მოქცეული რადიოაქტიური მეთოდით დათარიღებული ბაზალტი. მაშასადამე, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ორივე ეს გეოლოგიური წარმონაქმნი ეკუთვნის ერთსა და იმავე პალეომაკ-

ნიტურ ეპიზოდს, რომელიც ოლდოვანის სახელწოდებითაა ცნობილი და რომელიც შეესაბამება დროის მონაკვეთს 1,9 მლნ წლიდან 1,6 მლნ წლამდე. ამით უკვე თავისთავად ივარგლება დმანისის ფაუნის ზედა ასაკობრივი ზღვარი: ის არ შეიძლება იყოს უფრო ახალგაზრდა, ვიდრე 1.6 მლნ წლისა. ეს თარიღი ფრიად სარწმუნოა, თუმცა ვერ ვიტყვით მაინც, რომ საბოლოო იყოს. საჭირო იქნება, ალბათ,

ბაზალტის განმეორებით დათარიღება და ასევე თვით ძვლიანი შრის ქვედაპირული ში შემორჩენილი ვულკანური ფერფლის იზოტოპური ასაკის განსაზღვრა.

დაბოლოს, იმედს გამოვუქვამთ, რომ დმანისის შესანიშნავი მონაპოვრის შემდგომი კვლევა, ისევე როგორც მომავალი გათხრები, კიდევ უფრო მეტად მოპოვებენ შუქს ნამარხი დმანისელის თავისებურებებსა და მის გარემოს.

ЛИТЕРАТУРА

1. Векуа А. К., Габелая Ц. Д., Векуа З. А. Дманисская фауна ископаемых позвоночных. II научная сессия Грузинского отделения Всесоюзного териологического общества, 1985, 22—23.
2. Габуния Л. К., Векуа А. К., Бугианишвили Т. В. Изв. АН ГССР: сер. биол., 14, 5, 344—349, 1988.
3. Габуния Л. К., Векуа А. К. Антропогенные лошади Грузии, Тбилиси, „მედიერება“, 1989.
4. Bonis de L. Homo erectus et la transition vers Homo sapiens en Europe. Dentition et origine de l'homme. Table ronde intern., 3, 253—361, 1986.
5. Brown F. H., Harris J., Leake R., Walker A. Nature, 316, 778—782, 1985.
6. Gabunia L., Vequa A. Die Wirbeltiere von Dmanjssi und ihre stratigraphische Aussage. 1992, (in preparation).
7. Howell F. C. L'Anthropologie (Paris), 90, 3, 447—481, 1986.
8. Jelinek J. Cong. Int. Pal. hum., Nice, 1982, prétirage, 937—948.
9. Johanson D. C., Coppens Y., Taieb M. Union intern. sc. prehist. et protohist., X congrès Coll., VI, 1976, 121—137.
10. Leakey L. S. B., Tobias P. V., Napier J. R. Nature, 4927, 7—9, 1964.
11. Lumley H. de, - Lumley M. - A deet Fournier A. I congrés intern. pal. hum. Prétirage, Nice, 1982, 178—221.
12. Paitte E. La dention des Néanderthaliens, Paris, Masson et Cie, éditeurs, 1962.
13. Rightmire G. Ph. Paleobiology, 7(2), 241—246, 1981.
14. Rightmire G. Ph. I congrés intern. pal. hum., Prétirage, Nice, 1982, 798—813.
15. Rightmire G. P. 1000 years of Pithecanthropus. Abstracts, Frankfurt am Main, 1991.
16. Roth N. I congrés intern. pal. hum, Prétirage, Nice, 1982, 222—248.
17. Sartono R. Un. int. sc. prehist. ei protohist., Coll, 1976, VI, 455—464, pre-tirage.
18. Sartono R. Cong. Int. Pal. hum., 1982, 491—533, prétirage.
19. Tilier A. M., Vandermeerch B. Geobios' mém. spécial 6, 1982, 483—492.
20. Tobias P. V., Koenigswald von G. H. R. Nature, 4958, 515—518, 1964.
21. Weidenreich F. Palaeont. Sinica, ser. D, 7, 3, 1936.
22. Walker A. 1000 years of Pithecanthropus. Abstracts, Frankfurt am Main, 1991.
23. Wolpoff M. H. Paleobiol., 10(4) 389—406, 1984.
24. Wolpoff M. H. The Homo erectus problem, Abstracts, Frankfurt am Main, 1991.
25. კ. ჯაფარიძე, გ. ბოსინსკი, თ. ბუგიანიშვილი და თანაავტორები. დმანისი ქველქვის ხანის ადამიანები სამხრეთ საქართველოდან. საქ. მეცნ. აკადემია, პრეპრინტი, 1991, 1—34.

О НИЖНЕЙ ЧЕЛЮСТИ ИСКОПАЕМОГО ЧЕЛОВЕКА ИЗ ПОЗДНЕГО ВИЛЛАФРАНКА ДМАНИСИ

Л. К. Габуния, А. К. Векуа, А. Юстус

Институт палеобиологии им. Л. Давиташвили АН Грузии, Тбилиси
Римско-немецкий центральный музей, Майнц

Резюме

Дается описание нижней челюсти ископаемого человека из верхнего виллафранка (ранний плейстоцен) окрестностей Дманиси. Речь идет о

неполной нижней челюсти со всеми шестнадцатью зубами, принадлежащей молодой особи, у которой третий моляр едва затронут стиранием. Наи-



более характерные ее признаки: узость альвеолярной дуги, значительная массивность тела нижней челюсти, довольно широкая и выступающая назад *planum alveolare*, отсутствие подбородочного треугольника, расположение мест прикрепления *m. digastricus* на слегка уплощенном нижнем крае симфиза, резко выраженное отклонение наружу переднего отдела оснований восходящих ветвей, скошенность лабиальной стороны P_3 и соответственное смещение к центру коронки его протокониды, наличие воротничка на клыке и обоих премолярах, сильная складчатость эмали

моляров, присутствие на этих рисунка дриопитека и шестого зуба, уменьшение спереди назад размеров моляров и др.

Перечисленные признаки нижней челюсти дают основание считать, что *Homo sp.* из Дманиси характеризуется своеобразным сочетанием особенностей, свойственных и *Homo erectus*, и более древним, чем питекантропы, гоминидам, а также ранним *Homo sapiens*. Совершенно очевидно, что ископаемый человек из Дманиси — один из первых представителей *Homo*, проникших из Африки в Евразию.

ON THE MANDIBLE OF FOSSIL MAN FROM THE UPPER VILLAFRANCHIAN OF DMANISI (EAST GEORGIA)

L. GABUNIA, A. VEKUA, A. JUSTUS

Davitashvili Institute of Paleobiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi
 Romish-germanisches Zentralmuseum, Mainz

Summary

The authors give a preliminary description of the fossil man mandible from the Upper Villafranchian of Dmanisi (East Georgia). This is an incomplete (the ascending rami are broken) but well preserved specimen with all sixteen teeth belonging to a young individual. The mandible is small or moderate length. The dental arcade is narrow and tends to be U-shaped. The corpus mandibulae is thick and is especially heavy in the region of the posterior cheek teeth. The symphyseal section shows a moderate transverse torus and rather extensive *planum alveolare*. The chin region shows a distinct tuber symphyseos, but does not reveal development of mental trigon. The digastric impressions are limited only by slightly flattered lower surface of the

basal margin of the symphysis. The basal part of the ascending rami is sharply deflected outside. P_3 has a sloping buccal face and the protoconid somewhat displaced towards the center of the crown. The canines and both premolars bear a distinct cingulum. All three molars show the Driopithec-pattern, strongly wrinkled enamel and the presence of the *tuberculum sextum*. The dimensions of the molars decrease from M_1 to M_3 .

The authors come to the conclusion that the *Homo sp.* from Dmanisi reveal a combination of characteristic features of archaic *Homo erectus* and possibly of older Hominids, as well as early *Homo sapiens*. Fossil man from Dmanisi is evidently one of the first Hominids penetrated from Africa into Eurasia.

УДК 619

МИКРОБИОЛОГИЯ

ФАКТОРЫ ПАТОГЕННОСТИ У БАКТЕРИЙ РОДА CLOSTRIDIUM

Дж. В. Нәчкебия, Т. Г. Габисония

*Грузинский зооветеринарный учебно-исследовательский институт, Тбилиси
НПО «Бактериофаг» им. Г. Г. Элиава, Тбилиси*

Поступила в редакцию 15.04.91

Изучена способность передачи факторов патогенности (энтеротоксигенность, гемолитическая активность) от *Cl. perfringens* к реципиентным штаммам кишечной палочки и стафилококка. Установлено, что штаммы *Cl. perfringens*, обладающие энтеротоксигенностью и гемолитической активностью, с помощью конъюгации передают эти детерминанты патогенности реципиентам *E. coli* K12 и *Staphylococcus* МК32.

В ассоциациях микробов при гнойно-хирургических, ожоговых и других инфекциях за последние десять лет приоритет приобретают анаэробные микроорганизмы, которые ничем не уступают грамположительным и грамотрицательным аэробным микроорганизмам в образовании гнойно-воспалительных процессов и в некоторых случаях превышают их по тяжести протекания заболевания [1, 2].

В то же время роль анаэробных бактерий в инфекционной патологии человека и животных, их значение в патогенезе инфекционных заболеваний нуждается в дальнейших уточнениях и доказательствах [3].

Особенно часто анаэробы выделяются от больных преимущественно в реанимационных отделениях [7, 9]. Эти микроорганизмы, как и другие бактерии, являются причиной возникновения раневых, острых кишечных и урологических инфекций, включая пиелонефриты, а также сепсиса, септикопиемии, флегмон, менингитов [8, 9, 12].

Заболевания, вызванные представителями анаэробов, протекают очень тяжело и нередко завершаются летальным исходом [9].

Представители этого рода могут

вызвать инфекционные вспышки, особенно в отделах интенсивной терапии среди новорожденных [5, 6, 10, 11, 12].

Проблема патогенности остается до настоящего времени одной из центральных в современной микробиологии. В последние годы появились сообщения о том, что в ряде случаев определенные факторы патогенности, такие как энтеротоксигенность, адгезивность, гемолитическая активность, детерминируются плазмидами, т. е. подтверждаются предположения о том, что патогенность бактерий имеет полидетерминантную природу [4]. Иначе говоря, наряду с хромосомными у микроорганизмов имеются и плазмидные факторы патогенности. К таким факторам относятся энтеротоксигенность (способность микроорганизма продуцировать энтеротоксин), адгезивность (способность бактерий прикрепляться к эпителию слизистой полости макроорганизма), гемолитическая активность и ряд других. У ряда представителей некоторых семейств (например у *Enterobacteriaceae*) эти факторы, их роль в инфекционной патологии человека и животных изучены более или менее подроб-



но, тогда как их изучение у других только начинается.

Выяснению наличия у бактерий рода *Clostridium* различных факторов патогенности (энтеротоксигенности, ге-

молитической активности) и возможности их передачи стафилококкам кишечной палочке посвящается настоящая работа.

МАТЕРИАЛЫ И МЕТОДЫ

В качестве питательных сред использовали бульон Кит-Тароцци, бульон Хоттингера, МПБ, МПА, глюкозокровяной агар, агар Эндо.

Конъюгацию осуществляли по следующей методике: культуры доноров (кlostридий) выращивали на глюкозокровяном агаре в условиях анаэробноза за 24—36 ч; выросшие колонии смывали 0,15 М раствором NaCl, центрифугировали при 3000 об/мин в течение 20 мин, осадок повторно отмывали и суспендировали в 0,15 М растворе NaCl; концентрацию клеток по стандарту мутности доводили до 2 млрд кл/мл.

Колонии эшерихий (реципиенты) отбирали с агара Эндо и переносили на скошенный МПА, инкубировали 18 ч, клетки смывали 0,15 М раствором NaCl и обрабатывали вышеуказанным способом.

Концентрацию клеток в 0,15 М растворе NaCl устанавливали на $2 \cdot 10^9$ кл/мл.

Клетки стафилококков также собирали со скошенного МПА, отмывали центрифугированием в указанном режиме, суспендировали в физиологическом растворе и концентрировали до 2-х млрд кл/мл взвеси.

Приготовленные таким образом суспензии клеток указанных видов микроорганизмов смешивали в таком сочетании в пробирке с 2 мл 0,15 М раствора NaCl, подогретого в водяной бане до 37°C (вносили 0,5 мл суспензии клеток реципиента (*E. coli* или *Staphylococcus*) и 0,5 мл суспензии клеток донора).

В контрольные пробирки вносили отдельно клетки реципиента и донора. Опытные и контрольные пробы инкубировали при 37°C в течение 6 ч. По истечении указанного времени производили высевы на селективную среду.

В качестве селективной среды использовали глюкозокровяной агар и среду Эндо. Отбор рекомбинантов с глюкозокровяного агара вели по признаку гемолиза вокруг колоний, а на

агаре Эндо — по передаче резистентности к антибиотикам маркером — для *E. coli* к стрептомицину, а для стафилококков — к эритромицину. Среда Эндо содержала те антибиотики, которые предотвращают рост в отдельности доноров и реципиентов, но не мешают росту трансконоьюгантов, получивших от штамма донора маркер устойчивости к антибиотику (к стрептомицину, эритромицину) и имевших от исходного реципиентного штамма естественную устойчивость к другому антибиотику (к пенициллину).

Энтеротоксигенность трансконоьюгантов определяли на модели лигированных отрезков тонкой кишки кроликов. С этой целью трансконоьюганты выращивали на среде ВНИ (Brain heart infusion broth) с соевыми добавками, центрифугировали при 6—7 тыс. об/мин в течение 30 мин, к надосадочной жидкости добавляли хлороформ (1 мл) для подавления оставшихся в супернатанте бактериальных клеток. У кролика весом 1,7—2,0 кг под гексонал-эфирным наркозом асептически вскрывалась брюшная полость, выделялся тонкий кишечник и промывался стерильным физиологическим раствором. В лигированные отрезки (по 10 см) тонкого кишечника вводили по 1 мл супернатанта испытуемых трансконоьюгантов.

Между лигированными отрезками кишечника, в которые вводили супернатанты испытуемых культур, оставляли промежутки кишечника длиной около 5 см для разделения опытных отрезков. Одновременно ставили контроль 2 лигированных отрезков, в которые вводили 1 мл стерильного ВНИ и супернатант энтеротоксигенной культуры *Cl. perfringens* A28, A49, B216. Через 18 ч для термостабильного энтеротоксина и 6 ч для термостабильного энтеротоксина кроликов забивали, вскрывали брюшную полость и учитывали результат по формуле объем/длина лигированного отрезка, в который вводилась надосадочная жид-

кость испытуемой культуры транскопьюганта. Результат считали положительным, если соотношение объем/длина было больше 1,0. Для определения термостабильного энтеротокси-

на дополнительно к описанной процедуре прогревалась надосадочная культура испытуемой культуры при 56°C в течение 30 мин.

РЕЗУЛЬТАТЫ ИССЛЕДОВАНИЙ И ИХ ОБСУЖДЕНИЯ

Каждый штамм донора *Cl. perfringens* скрещивали отдельно с реципиентным штаммом *E. coli* K12 F⁻ по методике, описанной выше.

Отбор рекомбинантов вели по обнаружению на глюкозокровяном агаре колоний с зоной лизиса (гемолиза) эритроцитов.

Данные о передаче гемолитических свойств от донорских штаммов к реципиентам приведены в табл. 1.

Таблица 1

Результаты скрещивания донорских штаммов *Cl. perfringens* и реципиентов *E. coli* K12 (для изучения передачи признака гемолитической активности)

Скрещиваемые пары штаммов		Частота образования рекомбинантов
<i>Cl. perfringens</i>	A28x <i>E. coli</i> K12	3·10 ⁻⁶
"	A49x "	6·10 ⁻⁷
"	B216x "	2·10 ⁻⁶

Изучены свойства донорских штаммов *Cl. perfringens*, связанные с передачей фактора Ent в реципиентный штамм *E. coli* K12.

Полученные данные говорят о наличии фактора энтеротоксигенности в донорских штаммах *Cl. perfringens* и о их передаче к реципиентному штамму *E. coli* K12 (табл. 2).

Таблица 2

Результаты скрещивания донорских штаммов *Cl. perfringens* и реципиентов *E. coli* K12 (для изучения передачи признака энтеротоксигенности)

Скрещиваемые пары штаммов		Наличие фактора в рекомбинантах
<i>Cl. perfringens</i>	A28x <i>E. coli</i> K12	Ent
"	A49x "	Ent
"	B216x "	Ent

Все три изученные нами штамма *Cl. perfringens* содержали фактор энтеротоксигенности, который передавался к реципиентному штамму *E. coli* K12.

Изучена передача гемолитической активности и энтеротоксигенности от *Cl. perfringens* к реципиентным штаммам стафилококков.

В качестве доноров были использованы штаммы *Cl. perfringens* A28, D211, B216 и реципиентные штаммы стафилококков: *S. aureus* 8325-1 — для определения передачи энтеротоксигенности; *S. epidermidis* МК32 — для определения передачи гемолитической активности.

После скрещивания клеток донора и реципиента из смеси пробы переносились на глюкозокровяной агар, выявлялись отдельные колонии с зоной гемолиза, т. е. рекомбинанты, которые приобрели детерминант гемолитической активности от токсигенных анаэробов.

Все три донорских штамма *Cl. perfringens* A28, D211, B216 передавали фактор в реципиентный штамм *S. epidermidis* МК32 (табл. 3).

Таблица 3

Передачи фактора гемолитической активности от донорских штаммов *Cl. perfringens* к реципиентному штамму *S. epidermidis*

Штаммы доноров	Штамм-реципиент	Частота передачи фактора при коньюгации
<i>Cl. perfringens</i> A28	МК32	7·10 ⁻⁷
x <i>S. epidermidis</i> D211		
" B216		
"	"	3·10 ⁻⁸
"	"	6·10 ⁻⁸

Кроме гемолитической активности, в реципиентном штамме были обнаружены детерминанты, определяющие энтеротоксигенность. Наличие эн-

теротоксина в реципиентном штамме определяли по методу (S. aureus 8325-1), который был описан в мате-

риалах и методах (по модели лигированных отрезков тонкой кишки животных).

Установлено, что донорские штаммы Cl. perfringens A28, D211, B216 передают реципиентному штамму S. aureus 8325-1 способность продуцировать энтеротоксигенность (табл. 4).

Таблица 4
Передача фактора энтеротоксигенности от донорских штаммов Cl. perfringens к реципиентному штамму S. aureus 8325-1

Штаммы доноров	Штамм-реципиент	Частота передачи фактора про конъюгации
Cl. perfringens A28x	8325-1	3·10 ⁻⁸
" S. aureus	"	4·10 ⁻⁸
" D211x	"	6·10 ⁻⁷
" B216	"	

Установлено, что донорские штаммы Cl. perfringens, обладающие факторами энтеротоксигенности и гемолитической активностью могут передавать эти факторы в реципиентные штаммы кишечной палочки и стафилококков.

ЛИТЕРАТУРА

1. Герики В. Б., Райсброт Р., Раскин Б. М., Ратникова Т. И. ЖМЭИ, 1, 15—18, 1988.
2. Мнацаканов С. Т. Автореф. докт. дисс., М., 1984.
3. Рахимов А. Х., Саканделидзе О. Г., Гиршович Е. С., Аполонни А. В., Раскин Б. М., Лобова Е. А., Денисова С. В., Мнацаканов С. Т. Выявление гемолитических, адгезивных и энтеротоксигенных энтеробактерий (Методические рекомендации), М., 1987.
4. Тимаков В. Д., Кудлай Д. Г., Петровская В. Г., Ларионова Т. И. ЖМЭИ, 3, 3—16, 1968.
5. Bergone-Borezin E., Joly-Guillon M. L. J. Antimicrob. Chemother., 16, 5, 535—539, 1985.
6. Clew R., Meelerung, Kunz L. Medicine (Baltimore), 58, 79—97, 1977.
7. Di Grancio R., Pappagallo S., Ferril, Farina P., Lupig Jg. sanita publ., 43, 1—2, 7—15, 1987.
8. Kobayashi Tadao K., Tamaki Tarumi, Yoshino Eiji. Acta Cytol., 27, 3, 281—284, 1983.
9. Noone P., Abeysundere R. L. Bradley T. M. J. Antimicrob. Chemother., 4, 4 (Suppl.), 83—90, 1978.
10. Stone J. W., Das B. C. J. Hosp. Infect., 1, 42—48, 1986.
11. Von Graevenitz A., Canarozzi O. Zbl. Bakt. Abt. Orig. A, 235—238, 1976.
12. Zechovsky N., Phallion C., Bergone-Borezin E. Ann. Med. Intern. (Paris), 123, 323—330, 1972.

CLOSTRIDIUM-ის გვარის ბაქტერიების პათოგენური თვისებების შესწავლა

დ. ნაპუშვი, ბ. ბაბისონია

საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგი“, თბილისი

რეზიუმე

შევისწავლეთ პათოგენური ფაქტორების (ენტეროტოქსიგენურობა, ჰემოლიზური აქტიობა) გადატანის შესაძლებლობა დონორული Clostridium შტამებიდან რეციპიენტ ნაწლავის ჩხირისა და სტაფილოკოკის შტამებში.

დადგენილია, რომ Cl. perfringens-ის შტამები, რომლებიც ატარებენ ენტეროტოქსიგენურობისა და ჰემოლიზური აქტიობის დეტერმინანტებს, გადასცემენ მათ კონიუგაციის საშუალებით რეციპიენტ E. coli 12 და Staphylococcus 32.

FACTORS OF PATHOGENECITY IN CLOSTRIDIUM BACTERIA

J. NACHKEBIA, T. GABISONIA

Educational-Investigating Georgian Zooveterinary Institute
G. G. Eliava STA "Bacteriophage", Tbilisi

S u m m a r y

The ability to transfer pathogenic factors (enterotoxigenicity hemolytic activity) from *Cl. perfringens* to staphylococcus and *E. coli* resistant strains has been studied.

gens, having enterotoxigenicity and hemolytic activity transfer these determinants of pathogenicity to *E. coli* and *Staphylococcus* MK 32 recipients by conjugation.

It has been established that *Cl. perfrin-*

ავტორთა საბუნებისმეტყველო

1. ვერანაში იბეჭდება დასრულებული ექსპერიმენტული და თეორიული ხასიათის რიკ-ვიანდელი ნაშრომები ბიოლოგიის დამტკიცებელი დარგების მიხედვით: მიმოხილვითი სტატიები, მიმზადებული რედაქციის შეკვეთით; მოკლე წერილები და რეკლამები ვერანაში იბეჭდება ჩატარებული სამეცნიერო-საორგანიზაციო ღონისძიებების ქრონიკა.
2. ექსპერიმენტული ნაშრომების მოყვლობა ცხრილებით, ნახატებით, ნახატების ქვეწარწერებით, ლიტერატურის სიითა და რეზიუმეებით ჩვეულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალის დაბეჭდვას (მარცხენა კვადრატში 3 სმ დასტავებით) 18 ლინია ნახატების ჩაღებამდე არ უნდა აღემატებოდეს 5-ს. ნაშრომდგომი სტატიის მოყვლობა დასაწყისში 24 ზეარდადზე, მოკლე წერილისა — 4 გვ. მოკლე წერილს შეიძლება დაერთოს 1—2 ნახატი.
3. რეზიუმე ჩვეულ და ინგლისურ ენებზე (არ უნდა აღემატებოდეს ერთ ვერანს), ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახატების ქვეწარწერები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკეულ ფურცლებზე.
4. დედას (ორ ეგზემპლარად) თან უნდა ერთვოდეს დაწესებულების მიმართა და საექსპერიმენტო ოქოსის დასაცმა. პირველ ვერანზე მარცხენა უნდა ეწერიოს უკან ინდექსი, მარჯვენა — ბიოლოგიის დარგი, შემდეგ სტატიის დასახელება, ავტორების ინიციალები და ვერანზე იმ დაწესებულების დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი. და მოკლე ანოტაცია (0.5 ვერანზე). სტატიის ხელს აწერს კველა ავტორი. სტატიის ბოლოს სარუდად უნდა იყოს აღნიშნული ავტორთა სახელი, მამის სახელი და გვარი, ბინისა და სამსახურის მისამართი და ტელეფონის ნომერი.
5. სტატია უნდა შეიცავდეს შესავალს, მეთოდოკას, კვლევის შედეგებს და შედეგების განხილვას.
6. ილუსტრაციები — მკვეთრი ფოტოები, ნახატი გრაფიკები, შესრულებული ფიგურა და სხვა ილუსტრაციები, წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად. ილუსტრაციებზე ქვეწარწერები შესრულებული უნდა იყოს ტექსტით. ილუსტრაციის უკან მხარეს ფანქარით აღნიშნული უნდა იყოს მისი ნომერი, ავტორის გვარი და სტატიის შესრულებული დასახელება (ავტორების შემთხვევაში აღინიშნოს ზეიმი და ქვეიმი მხარეებზე).
7. ციტრატები ავტორების ვერანზე ტექსტში შეიჭრილი უნდა იყოს სტატიის შესავალის ტრანსკრიფციით, ლიტერატურის სიაში კი — არაგენილი ტრანსკრიფციით. ლიტერატურის სია დედას ანაბის მიხედვით შედგები თანამომდევრობით: ქართული, რუსული, ლათინური.
8. რიგითი ნომრის (ტექსტში იგი კვადრატულ ფრჩხილებშია) შემდეგ მოყვანილი უნდა იქნეს ავტორის გვარი და ინიციალები, გამოცემის დასახელება; პერიოდული გამოცემებისათვის — ტომი, ნომერი, გვერდები, წელი, არაპერიოდულითაგან — გამოცემის წლის დასახელება, გამოცემის ადგილი, წელი და ვერანები.
9. ხელნაწერები, რომლებზეც არ არის დატული აღნიშნული წესები და რომლებიც არ შეესაბამება ვერანის პროფილს. უბრუნდება ავტორს. კველა სტატია იგზავნება სარედაქციო.
10. სტატიების კორექტორის გასწორებისას დამატებითი კვლეობების შერჩა ტექსტში და შეეხება.
11. რედაქცია იტოვებს უფლებას შეამოკროს და შეასწოროს სტატიის ტექსტი.
12. ავტორს უფასოდ ვეღვა თორმეტი ანაბეჭდი.

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале печатаются завершённые, оригинальные работы экспериментального и теоретического характера по утверждённым редколлегией разделам биологии, обзорные статьи, написанные по заказу редколлегии, а также краткие сообщения и рецензии. Периодически в журнале помещается краткая хроника о проведённых научно-организационных мероприятиях.
2. **Объём рукописи экспериментальных работ**, включая таблицы, рисунки, подписи к рисункам, список литературы и резюме на грузинском и английском языках (не более одной страницы машинописи на каждом языке), не должен превышать 12 страниц машинописного текста, напечатанного через 2 интервала и полем 3 см с левой стороны. К рукописи может быть приложено не более 5 рисунков. **Объём обзорной статьи** — 24 страниц, краткого сообщения — до 4 страниц машинописи. Краткие сообщения можно иллюстрировать 1—2 рисунками.
3. **Резюме на грузинском и английском языках**, список литературы, таблицы и подписи к рисункам должны быть представлены на отдельных листах.
4. Рукопись (в двух экземплярах) должна иметь направление учреждения и заключение экспертной комиссии. На первой странице слева приводятся индексы статьи (УДК), справа — раздел биологии, затем название статьи, инициалы и фамилия авторов, название учреждения, где выполнена работа, и краткая аннотация (не более 0,5 стр.).
5. Статья должна быть подписана всеми авторами. В конце статьи необходимо указать полностью имя, отчество и фамилию авторов, домашний и служебный адреса, телефоны.
6. Статья должна содержать введение, методику, результаты исследований и обсуждение результатов.
7. **Иллюстрации** — четкие фотографии на глянцевой бумаге и рисованные графики на кальке или белой чертёжной бумаге — следует представлять в двух экземплярах. Надписи на иллюстрациях должны быть выполнены тушью. На обороте иллюстраций следует обозначить карандашом её номер, фамилию автора и сокращённое название статьи, а в случае необходимости отметить верхний и нижний край.
8. Фамилии цитируемых авторов следует давать в транскрипции, соответствующей тексту статьи и в оригинальной — в списке литературы. **Список литературы** составляется по алфавиту — вначале грузинским и русским шрифтом, а затем латинским. После порядкового номера (в тексте статьи он ставится в квадратные скобки) следует давать фамилию и инициалы авторов, название издания, затем: для периодических изданий — том, страницы (от и до), год; для непериодических — название издательства, место, год издания и страницы.
9. Рукописи, оформленные без соблюдения указанных правил, а также не соответствующие профилю журнала, возвращаются автору. Все рукописи проходят рецензирование.
10. К корректуры статей даются авторам для проверки, правки и визирования. Дополнительные изменения в тексте не допускаются.
11. Редакция оставляет за собой право сокращать и исправлять тексты статей.
12. Авторы получают бесплатно 12 отдельных оттисков.

Цена 2 руб.

Индекс 76204

ფასი 2 მან.



ISSN - 0321-1665 Изв. АН Грузии, сер. биологическая, 1992, т. 18, № 6, 361-432.